1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება:

დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

Diplomacy and International Politics

2. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები

ასოცირებული პროფესორი **ფიქრია ასანიშვილი**

3. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:

ერთიანი სამაგისტრო გამოცდა

გამოცდა ინგლისურ ენაში – B2 დონე

გამოცდა საერთაშორისო ურთიერთობებში სპეციალური პროგრამით.

გასაუბრება

4. საგამოცდო საკითხები: ბაკალავრის ხარისხის მფლობელებმა, რომლებსაც სურთ სწავლა გააგრძელონ სამაგისტრო პროგრამაზე – „დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

-საგამოცდოდ უნდა მომზადებული იქნას შემდეგი ლიტერატურა: ალექსანდრე რონდელი: საერთაშორისო ურთიერთობები, გამომცემლობა ნეკერი, 2004

-ჰენრი კისინჯერი: დიპლომატია. ნებისმიერი გამოცემა ნებისმიერ ენაზე

-გამოცდის ხანგრძლივობა იქნება 3 საათი.

-გამოცდა შედგება ორი ნაწილისაგან (არგუმენტირებული ესე, თეორიული საკითხის ცოდნა)

გამოცდა ფასდება 100 ქულით.

-არგუმენტირებული ესე (60)

-თეორიული ნაწილის ცოდნა (40)

გამოცდის კომპონენტების დახასიათება:

პირველ ნაწილში, თქვენ უნდა დაწეროთ არგუმენტირებული ესე საერთაშორისო ურთიერთობების რომელიმე აქტუალური საკითხის შესახებ. საგამოცდო ფურცელზე მოცემული იქნება ამ თემის ჩარჩო–მონახაზი. თქვენ უნდა განავრცოთ იგი. შეიძლება თქვენ არ ეთანხმებოდეთ მოცემული თემაში განვითარებულ აზრებს, თუმცა, მიუხედავად თქვენი პოზიციისა, მოგიწევთ თქვენთვის

შემოთავაზებული პოზიციის დაკავება და ამ პოზიციის არგუმენტირება (მაგ. არგუმენტირება იმისა, რომ სიკვდილით დასჯა ეფექტურია)

მეორე ნაწილში თქვენ უნდა გამოავლინოთ საერთაშორისო ურთიერთობებისათვის რელევანტური თეორიული ან/და ისტორიული საკითხის ცონდა. ამ ნაწილისთვის მოსამზადებლად საკმარისია ალ. რონდელის "საერთაშორისო ურთიერთობების " კარგად გაცნობა.

საკონტქტო ინფორმაცია: თსუ VI კორპ. სასწავლო პროცესის სამსახური 2250484 6238 ან

ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე შუბითიძე 5 58 20 83 10